

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა3

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება6

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია9
2. მომზადების საფუძვლები9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულობები10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა10
5. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი17
6. სხვა საოპერაციო შემოსავალი18
7. ხელფასები და ბონუსები18
8. სხვა საოპერაციო ხარჯები18
9. მოგების გადასახადის ხარჯი19
10. ფული და ფულის ეკვივალენტები19
11. გაცემული სესხები19
12. ძირითადი საშუალებები22
13. გადავადებული მოგების გადასახადი22
14. მიღებული სესხები23
15. სანესდებო კაპიტალი24
16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები24
17. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა25
18. კაპიტალის მართვა29
19. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან30
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის” დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის” ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში კომპანია), რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აზნაგში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელი კომპანიისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე თუ არ აპირებს კომპანიის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია რომ გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ანდაც შიდა კონტროლების უგულვებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე მოსაზრების გამოსახატავად
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, რათა ისინი სამართლიანად ასახავდნენ მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 თებერვალი, 2018 წელი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი"

მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	5	1,203,507	1,139,004
საპროცენტო ხარჯი	5	(416,611)	(349,730)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საექვო სესხების ანარიცხებამდე		786,896	789,274
ანარიცხები საექვო სესხებზე	11	(35,349)	(3,975)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		751,547	785,299
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	202,357	160,884
ხელფასები და ბონუსები	7	(249,324)	(227,413)
ოფისის იჯარის ხარჯი		(104,105)	(86,923)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(25,183)	(22,522)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(104,484)	(93,667)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა		(23,225)	130,486
მოგება დაბეგვრამდე		447,583	646,144
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(67,034)	(100,090)
წმიდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		380,549	546,054

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის დამტკიცებულია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 15 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ე. კახიანი

მთავარი ბუღალტერი



ი. ტაბატაძე

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	666,243	80,703
გაცემული სესხები	11	3,770,796	4,251,264
წინასწარ გადახდილი გადასახადები		20,502	39,151
სხვა აქტივები		12,365	13,882
ძირითადი საშუალებები	12	496,106	463,866
არამატერიალური აქტივები		29,106	13,252
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	13	39,922	30,852
სულ აქტივები		5,035,040	4,892,970
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	3,847,482	3,141,359
სხვა ვალდებულებები		5,733	335
სულ ვალდებულებები		3,853,215	3,141,694
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება		931,825	1,501,276
სულ კაპიტალი		1,181,825	1,751,276
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,035,040	4,892,970

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	250,000	955,222	1,205,222
2016 წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი	-	546,054	546,054
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	250,000	1,501,276	1,751,276
2017 წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი	-	380,549	380,549
გამოცხადებული დივიდენდები	-	(950,000)	(950,000)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	250,000	931,825	1,181,825

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		447,583	646,144
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		25,183	22,522
საპროცენტო შემოსავალი	5	(1,203,507)	(1,139,004)
საპროცენტო ხარჯი	5	416,611	349,730
საექვო სესხების ანარიცხების ხარჯი	11	35,349	3,975
საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი)		23,225	(130,486)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		(255,556)	(247,119)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
გაცემული სესხების (ზრდა)/შემცირება		298,805	(69,688)
სხვა აქტივების (ზრდა)/შემცირება		6,001	(4,103)
სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		5,236	(11,531)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		54,486	(332,441)
მიღებული პროცენტები		1,173,401	1,143,613
გადახდილი პროცენტები		(362,891)	(389,119)
გადახდილი მოგების გადასახადი		(57,290)	(196,772)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		807,706	225,281
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(50,601)	(2,371)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(22,679)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაზე		(73,280)	(2,371)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება		4,220,762	2,361,112
სესხების დაფარვა		(3,411,355)	(2,777,955)
დივიდენდების გადახდა	15	(950,000)	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობაზე		(140,593)	(416,843)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		593,833	(193,933)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	10	80,703	259,908
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ეფექტი		(8,293)	14,728
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	10	666,243	80,703

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“ (კომპანია) დაარსდა 2011 წლის 12 სექტემბერს (პარტნიორთა კრების #1 გადაწყვეტილებით) მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ 2006 წლის 18 ივლისს მიღებული საქართველოს კანონის შესაბამისად. ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 250,000 ლარს. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404910637, მარეგისტრირებული ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის 80%-ის მფლობელია ლია მალრაძე, ხოლო 20% წილის მფლობელია ეკატერინე კახიანი. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის №6.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: იპო ლომბარდი, ავტო და ოქროს ლომბარდი და სამომხმარებლო. სესხები გაიცემა როგორც აშშ დოლარში (საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2016 წლის 29 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებამდე), ასევე ქართულ ლარში.

ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებს სათავო ოფისის (ქ. თბილისი, მიცკევიჩის 6) და სამი სერვის ცენტრის (ქ. თბილისი, წერეთლის 65, ჭავჭავაძის 3 და ქ. მარნეულში რუსთაველის 44) მეშვეობით.

ორგანიზაციაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუშაობდა 20 თანამშრომელი (2016: 17).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ორგანიზაციისთვის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და მენილეებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ორგანიზაცია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულობები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადანაცვებულობების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადანაცვებულობები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

სესხების და მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები

ორგანიზაცია რეგულარულად აფასებს სესხების პორტფელს გაუფასურებაზე ჯგუფურად. ორგანიზაცია არ აკეთებს სესხების ინდივიდუალურად გაუფასურების ანალიზს, რადგანაც ინდივიდუალურად მისთვის არც ერთი სესხი არ არის მატერიალური. მენეჯმენტი წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სესხების პორტფელის გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია მენეჯმენტის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

ძირითადი ფაქტორი, რითიც ხდება სესხების ჯგუფური გაუფასურების შეფასება არის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა.

მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, რომ ორგანიზაცია დარწმუნებულია რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება, ორგანიზაცია მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემონმშებისას. შედეგად ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერები თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს მოგების გადასახადის ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადანაცვებულობა იქნა მიღებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განხილულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება წინამდებარე ანგარიშგებაში.

საქმიანობის უწყვეტობა

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაციას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რელიზაციას თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6468	2.7940

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ტერმინები

ფინანსური ინსტრუმენტები, მათი კლასიფიკაციისა და მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

რეალური ღირებულება განისაზღვრება, როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდებულ ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვინებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დანესხულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახადსა და ვალდებულებებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება ასევე გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალკე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია გაცემული სესხების, ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების, მიღებული სესხების და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯებით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ თანხებს შორის ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და მოთხოვნები არ წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ აქტივებს და ხასიათდება ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელთა კოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხების და მოთხოვნების კატეგორია არ მოიცავს:

- (ა) აქტივებს, რომელთა გაყიდვაც ორგანიზაციას განზრახული აქვს დაუყოვნებლივ, ან ახლო მომავალში, და რომლებიც უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც გასაყიდად გამიზნული, და რომელთაც საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აფასებს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) აქტივებს, რომელთაც ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხავს, როგორც გასაყიდად გამიზნულს; ან
- (გ) აქტივებს, რომელთა მფლობელებსაც არ შეუძლიათ ფაქტიურად დაფარონ მთელი მათი საწყისი ინვესტიცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია

საკრედიტო პირობების გაუარესების გამო, და რომლებიც შეიძლება კლასიფიცირებულ იყოს, როგორც გასაყიდად გამიზნული.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაციის გაცემული სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია აფასებს, არის თუ არა რაიმე მინიშნება სესხის ან მოთხოვნების გაუფასურებასთან დაკავშირებით. გაუფასურების რაიმე მინიშნების შემთხვევაში, ორგანიზაცია განსაზღვრავს გაუფასურების ზარალის ოდენობას. სესხებზე და მოთხოვნებზე, რომელთა საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს ამორტიზებადი ღირებულება, გაუფასურების ზარალის თანხა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (არ შედის მომავალი საკრედიტო დანახარჯები, რომლებიც ჯერ არ წარმოშობილა). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის საშუალებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. თუ მიმდინარე პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება ობიექტურად იქნება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომ მოვლენასთან (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი დაკომპენსირდება ანარიცხის ანგარიშის დაკორექტირებით. კომპენსირების თანხა არ შევა აქტივის საბალანსო ღირებულებაში იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ამორტიზებადი ღირებულება იქნებოდა, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირების დღეს. კომპენსირების თანხა აღიარდება მოგება-ზარალში.

მენეჯმენტი ქმნის გაცემული სესხების დანაკარგებთან დაკავშირებულ ანარიცხებს თვიურ, კვარტალურ და წლიურ საფუძველზე იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური ანარიცხები საეჭვო სესხებისთვის. სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები იქმნება გადაუხდელი თანხების დაგვიანების (ხანდაზმულობის) მიხედვით. ისინი ჯგუფდება ბოლო გადახდების მიხედვით. სესხი წარმოდგენს დაგვიანებულს, თუ მისი გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღი გასულია. წინასწარ განსაზღვრული დანაკარგების ანარიცხების პროცენტი გაიანგარიშება მენეჯმენტის მიერ სესხებთან დაკავშირებული წარსული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივი, რომელიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და რომელიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შემოღებული სახსრები არ შედის ნაღდ ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შეძენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შეძენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღირების შემდეგ, აქტივი ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ავტო	5
ოფისის აღჭურვილობა	5
არამატერიალური აქტივები	7

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში განსხვავდება მათი საგადასახადო კუთხით შეფასებული ღირებულებისგან.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა წარმოიშვას დასაბეგრი მოგება, და მან გაანეიტრალოს სხვაობა საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის.

აქტივის ან ვალდებულების თანხა განისაზღვრება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში, და მოსალოდნელია მისი გამოყენება გადავადებული საგადასახადო აქტივის/ვალდებულების დაფარვის მომენტში.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება შესყიდვის ღირებულებით. სანცისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით, ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი წარმოიშვა.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სხვის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება. ორგანიზაციის მიერ მიღებული სესხის გაცემის ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ ორგანიზაცია გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზებას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე. ორგანიზაცია არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებად რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხების და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო ხდება, მათი ჩამოწრა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები ზოგადად ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებებიდან ან მესამე მხარესთან ოპერაციის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ. სესხების, წილების და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რისი გარემოებაც შესაბამისი ოპერაციის აღსრულებისას დგება, ტარდება დასრულებისას.

პორტფელის და სხვა ხელმძღვანელი რგოლის საკონსულტაციო და მომსახურების საფასური აღიარებულია შესაბამისი მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე, ჩვეულებრივ დროსთან პროპორციული წესით. აქტივების მართვის საკომისიო დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდებთან და პროპორციულად ტარდება მომსახურების უზრუნველყოფის მთელ პერიოდში. იგივე პრინციპი გამოიყენება აქტივების მართვასთან, ფინანსური დაგეგმარებასთან და სადეპოზიტო მომსახურებასთან, რაც უზრუნველყოფილია დროის ხანგრძლივ პერიოდში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია იხსნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსული მოვლენების შედეგად და რომლიდანაც ბანკი მოელის ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს აღნიშნული ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ბანკის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ბანკი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ბანკი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი სამსახური.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მენარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო ღირეფტიული ხასიათის ინსტრუქცია დამატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას ორგანიზაციის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ორგანიზაციის სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები ორგანიზაციის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. ორგანიზაცია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილებების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განესაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე აღრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის აღრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილებების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო შემოსავალი	2017	2016
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	1,203,507	1,139,004
სულ	1,203,507	1,139,004

ვადაგადაცილებულ სესხებზე 2017 და 2016 საანგარიშგებო პერიოდებში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი იყო 22,609 ლარი და 5,352 ლარი, შესაბამისად.

საპროცენტო ხარჯი	2017	2016
ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(300,334)	(261,421)
ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	(116,277)	(88,309)
სულ	(416,611)	(349,730)

წმინდა საპროცენტო შემოსავალი	786,896	789,274
-------------------------------------	----------------	----------------

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. სხვა საოპერაციო შემოსავალი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის სხვა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შემოსავალი ჯარიმებიდან	130,608	87,429
შემოსავალი ადრე დაფარვისა და რესტრუქტურეზაციის	66,155	69,766
საკომისიოებიდან		
სხვა შემოსავალი	5,594	3,689
სულ	202,357	160,884

7. ხელფასები და ბონუსები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ხელფასები და ბონუსები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ხელფასის ხარჯი	(215,314)	(195,038)
პრემია	(25,375)	(22,375)
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(8,635)	(10,000)
სულ პერსონალის ხარჯი	(249,324)	(227,413)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის სხვა ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(39,100)	(26,186)
რეკლამის ხარჯი	(20,399)	(40,512)
დაცვის ხარჯი	(9,147)	(7,320)
კომუნალური ხარჯი	(8,534)	(5,215)
ოფისის მოვლის ხარჯი	(4,515)	(3,327)
ავტომანქანის იჯარის ხარჯი	(4,000)	-
კომუნიკაციის ხარჯი	(3,531)	(3,051)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(2,000)	(2,575)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(6,125)	(2,197)
სხვა ხარჯი	(7,133)	(3,284)
სულ	(104,484)	(93,667)

აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2017 წელს შეადგინა 17,141 ლარი (2016 : 15,780 ლარი).

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. მოგების გადასახადის ხარჯი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მიმდინარე გადასახადი	(76,104)	(94,395)
დროებითი სხვაობების ეფექტი	9,070	(5,695)
მოგების გადასახადის ხარჯი	(67,034)	(100,090)

რეკონსილაცია ფაქტორივ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის შესაძლებელია წარდგენილი იყოს შემდეგი ფორმით:

	2017	2016
მოგება დაბეგვრამდე	447,583	646,144
მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	(67,137)	(96,922)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	103	(3,168)
მოგების გადასახადის ხარჯი	(67,034)	(100,090)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

